ხელშეკრულება თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ

პოლონეთის რესპუბლიკის სამეფო – სადედაქალაქო ქალაქ კრაკოვსა და საქართველოს დედაქალაქ თბილისს შორის

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს კრაკოვსა და თბილისს შორის არსებულ ურთიერთგაგებასა და აგრძელებს წინა წერილობით და ზეპირ შეთანხმებებს.

მუხლი 2

კრაკოვი და თბილისი განავითარებენ მეგობრულ ურთიერთობებს ადრე ხელმოწერილი თანამშრომლობის ხელშეკრულებებში მითითებულ სფეროებში ქალაქებს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრობლობის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 3

ხელშეკრულება თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ არ აკისრებს მხარეებს ფინანსურ ვალდებულებას, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს განხორციელებული აქტივობების ხარჯებს. დეტალები შეთანხმდება მხარეებს შორის და მისი ორგანიზება მოხდება თითოეული აქტივობის სპეციფიკურობის მიხედვით.

მუხლი 4

4.1. ხელშეკრულება წარმოადგენს წინა 2009 წლის 13 მაისს, 2012 წლის 12 ივნისს და 2015 წლის 4 მაისს ხელმოწერილი ხელშეკრულებების გაგრძელებას და ძალაშია 2018 წლის 18.10 -დან სამი წლის ვადით.

4.2. ხელშეკრულება შესაძლებელია გაგრძელდეს 3 წლის ვადით, მხარეებს შორის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. წერილობითი განაცხადი ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ ორივე მხარემ უნდა წარადგინოს აღნიშნული ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 3 თვით ადრე.

4.3. მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების გაგრძელებაზე შემდგომი პერიოდითაც 4.2 მუხლში მოცემული პროცედურების დაცვით.

4.4. ხელშეკრულებაში შეიძლება შევიდეს ცვლილებები ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მხარეებს შორის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

ხელმოწერილია 2018 წლის -18.10---------, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, პოლონურ და ქართულ ენებზე.

ქალაქ კრაკოვის სახელით	ქალაქ თბილისის სახელით
იაჩეკ მაიხროვსკი	კახა კალაძე
ქალაქ კრაკოვის მერი	ქალაქ თბილისის მერი